უწმინდესი პატრიარქი კირილე: პატრიარქი ბართლომეოსი განხეთქილებაში განვარდა

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს შორის არის „მუშაობა მსოფლიო მართლმადიდებლობაში არსებული განხეთქილებების დასაძლევად, რომლებიც წარმოშვა კონსტანტინეპოლის პატრიარქის უკანონო, ანტიკანონიკურმა და, მე ვიტყოდი, უგუნურმა შემოქრამ უკრაინაში", – აღნიშნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ 2021 წლის 27 სექტემბერს, როდესაც მიმდინარეობდა სსკგ–ს თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონისა და მისი მოადგილეების – კლინის მთავარეპისკოპოს ლეონიდის, დეკანოზ ნიკოლოზ ბალაშოვისა და არქიმანდრიტ ფილარეტისათვის (ბულეკოვი) – საეკლესიო ჯილდოების გადაცემის ცერემონიალი.

„თავს უფლებას მივცემ ასე ვთქვა იმიტომ, რომ კარგად ვიცნობ პატრიარქ ბართლომეოსს – ალბათ, თავისი ჭკუით არ მოქმედებდა და არც თავისი ნებით", – შენიშნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის

მეთაურმა.

ამასთან, მან ურყო მოსაზრება, თითქოს, იმყოფებოდა რა გარეგანი ზეწოლის ქვეშ, კონსტანტინეპოლის პატრიარქს არ შეეძლო სხვაგვარად მოქცევა: „მაშ, როგორ ვახერხებდით ჩვენ სხვაგვარად მოქცევას, როცა ათეისტურ სახელმწიფოში ვცხოვრობდით? ჩვენ ვერ შეგვაშინებთ ვერანაირი საშინელებებით – ჩვენ ყველაფერი გამოვიარეთ და არ შეგვიწყვეტია ევქარისტული კავშირი არცერთ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში იმ დროს ხშირად უწოდებდნენ „ამერიკული იმპერიალიზმის ქვეშმძრომებს". ჩვენ შევინარჩუნეთ ეს ურთიერთობები, ვსტუმრობდით ერთმანეთს, ვიწვევდით დელეგაციებს. ამიტომ, როდესაც გვეუბნებიან, რომ დღეს პატრიარქ ბართლომეოსს ვითომ სხვაგვარად არ შეეძლო, – მიანიშნებენ რა მძლავრ გარეგან ძალებზე, – მე არ ვიღებ ამ არგუმენტს. კონსტანტინეპოლელ პატრიარქებს შორის იყვნენ მოწამეები და აღმსარებლები, მათგან ერთ-ერთი – პატრიარქი გრიგოლი – საპატრიარქოს კარიბჭეზე ჩამოახრჩვეს. კონსტანტინეპოლი ყოველთვის წარმოგვედგინა ჩვენ მართლმადიდებლობის საყრდენად“.

„და ჩვენ ადამიანურად განვიცდით, რომ დღეს კონსტანტინეპოლის პატრიარქი განხეთქილებაში განვარდა, რადგან ეზიარა სქიზმატიკოსებთან ერთად და აღიარა თვითნაკურთხი პირები, რომლებსაც ქიროტონია არ მიუღიათ კანონიკური ეპისკოპოსებისგან”, – კონსტატირება გააკეთა უწმინდესმა მეუფემ.

ამასთან, უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ხაზი გაუსვა: „ჩვენ ვაცნობიერებთ ჩვენს სიმართლეს, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ ვდგავართ წმინდა კანონების ურყევ საფუძველზე, მწყემსურად, ადამიანურად ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ გადავლახოთ ეს რთული დრო მართლმადიდებლურ ურთიერთობებში, რადგან საბერძნეთში და კონსტანტინეპოლის პატრიარქის გავლენის ქვეშ მყოფ სხვა ქვეყნებშიც არიან ჩვენი ძმები და დები, ღვთისმოსავი ბერები და მონაზვნები, და ჩვენთვის დიდი წუხილია, რომ ერთი ადამიანის შეცდომით სხვები იტანჯებიან“.

საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებას დიდი სამუშაო ელოდება: დარჩეს პრინციპულ კანონიკურ პოზიციებზე და გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ მსოფლიო მართლმადიდებლობა გამოვიდეს იმ მძიმე კრიზისული მდგომარეობიდან, რომელშიც ის იმყოფება, – აღნიშნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა.

თითოეულ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი პრობლემები აქვს, და ზოგჯერ – ძალიან რთული, თუმცა არც ისე შესამჩნევი, როგორც ეს იყო, მაგალითად, საბჭოთა პერიოდში რუსეთის ეკლესიის შემთხვევაში, – გაახსენა საზოგადოებას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემა და ხაზი გაუსვა: „ამიტომ, ჩვენი ერთობლივი სოლიდარობა, ერთმანეთისადმი სიყვარულის გამოვლინება, ძალიან-ძალიან მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიო მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად”.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88137/